მარტივად ტიპირებული ლამბდა აღირცხვის გაფართოება რეგულარული ტიპებით

ლამბდა აღრიცხვა გამოთვლის მათემატიკური თეორიაა, რომელიც შეიქმნა ალონცო ჩორჩის მიერ და ტიურინგის აზრით სრულ სისტემებს შორის უმარტივესია. თანამედროვე ფუნქციონალური პროგრამირების პარადიგმა ლამბდა-აღრიცხვაზეა დაფუძნებული. მოხსენებაში განხილული იქნება მარტივად ტიპირებული ლამბდა აღრიცხვის გაფართოება რეგულარული ტიპებით და აღწერილი იქნება მიღებული გაფართოების თვისებები. ჩვენ ასევე ვისაუბრებთ რეგულარულტიპებიან ლამბდა ტერმებს შორის განტოლებების ამოხსნაზე.